გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა ბერიანიძის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 255 საკითხის განხილვაში. დავესწარი საკრებულოს ბიუროს 28 სხდომას და 433 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე. ჩავატარე ფრაქციის 8 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 95 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიისა და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიების წევრი. დავესწარი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 10 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 53 საკითხის განხილვაში. ასევე დავესწარი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 55 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები:

- ✓ განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, სოფელ სობისში, ზეღდულეთსა და ახალსოფელში განხორციელდა გზის მთლიანი მონაკვეთის გაკეთება, ასევე მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა.
- ✓ სოფელ ზეღდულეთში საბავშვო ბაღის მისასვლელი გზაზე დაიგო ასფალტის საფარი.
- ✓ ასევე სოფელ ბერშუთში, სოფელ ზეღდულეთსა და სოფელ სობისში მოხდა სკოლის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარით დაგება.
- ✓ სოფელ ხურვალეთსი გაკეთდა სასმელი წყლის ჭაბურღირი და დაიდგა რეზერვუარი.
- ✓ ამას გარდა სოფელ შავშვებში გარემონტდა შავშვების ადმინისტრაციული შენობა. ასევე გაკეთდა ახალგაზრდებისთვის სტადიონი.
- ✓ სოფელ ხურვალეთში მიმდინარეობს სტადიონის მოწყობა.
- ✓ სამომავლოდ დაგეგმილია სოფელ ზეღდულეთში სტადიონისა და საჭიდაო არენის რეაბილიტაცია.
- ✓ ასევე გაკეთდა სოფელ ზეღდულეთში ღვთისმშობლის ტაძართა მისასვლელი გზა.
- ✓ სოფელ ახალსოფელში დაიდგა სასმელი წყლის ჭაბურღირი და მოხდა თითოეული ოჯახის ინდივიდუალურ მრიცხველებზე აყვანა.
- ✓ ასევე სოფელ კირბალში გაკეთდა სკოლასთან მისასვლელი გზა, დაიგო ასფალტის საფარი.
- ✓ სოფელ ბერშუეთში ახალგაზრდების მოთხოვნით გაკეთდა ,,ტრენაჟორები“ და ამას გარდა სოფელში დაიდგა დამატებით წყლის ჭაბურღირი.

- ✓ სოფელ ზემო სობისში გაკეთდა სკვერი, რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს.

ამას გარდა, 2023 წელს ჩემი ინიციატივით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედდულეთში არსებულ #2 გეოგრაფიულ ობიექტს (ქუჩას) ეწოდა 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული მებრძოლის ლევან მანძულაშვილის სახელი.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში. აქტიურად ვარ ასევე ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა ვმონაწილეობ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მათ შორის სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფში და წარმოდგენილი ვარ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობას და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირად.

აქტიურად ვმონაწილეობ ასევე საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა ბერიანიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ზეღდულეთი **2023 წლის 24 ოქტომბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე : დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი: კობა ბერიანიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზეღდულეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი: გვანცა ხაბელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა ბერიანიძის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი კობა ბერიანიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს კობა ბერიანიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ

პრობლემებს. საკრებულოს წევრმა კობა ბერიანიძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გიორგი რაზმაძემ, გიორგი ცერცვაძემ, ივანე გოგიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : კობა ბერიანიძე;